სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080102986064122

№ 2221 05 / ივლისი / 2022 წ.

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის პირველ ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP220001926 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სამედიცინო სახარჯი მასალების შესყიდვას (CPV - 33100000 - სამედიცინო მოწყობილობები), ღირებულებით 10093.14 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შპს „ქალაქ ბათუმის რესპუბლიკურმა კლინიკურმა საავადმყოფომ“ (ს.კ. 245428880) შპს „ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს“ (ს.კ. 245435514) უნდა გადასცეს სახარჯი მასალების მარაგები, რისთვისაც მიმდინარეობს სამართლებრივი პროცედურების წარმოება. ზოგიერთი სახარჯი მასალის შესასყიდად შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ უმოკლეს ვადაში გეგმავს ელექტრონული ტენდერების გამოცხადებას, ხოლო ოფთალმოლოგიური ოპერაციების ჩასატარებლად, რომელიც ჩანიშნულია მიმდინარე წლის ივლისის თვეში, საჭირო საქონლის შესასყიდად კლინიკის მიერ გამოცხადებული NAT220010077 და NAT220010937 ელექტრონული ტენდერები დასრულდა უშედეგოდ. შექმნილი ვითარება აფერხებს კლინიკის ფუნქციონირებას, რაც საფრთხეს უქმნის პაციენტების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საქონლის შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, შპს „ქალაქ ბათუმის რესპუბლიკურმა კლინიკურმა საავადმყოფომ“ (ს.კ. 245428880) შპს „ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს“ (ს.კ. 245435514) უნდა გადასცეს სახარჯი მასალების მარაგები, რისთვისაც მიმდინარეობს სამართლებრივი პროცედურების წარმოება. ზოგიერთი სახარჯი მასალის შესასყიდად შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ უმოკლეს ვადაში გეგმავს ელექტრონული ტენდერების გამოცხადებას, ხოლო ოფთალმოლოგიური ოპერაციების ჩასატარებლად, რომელიც ჩანიშნულია მიმდინარე წლის ივლისის თვეში, საჭირო საქონლის შესასყიდად კლინიკის მიერ გამოცხადებული NAT220010077 და NAT220010937 ელექტრონული ტენდერები დასრულდა უშედეგოდ. შექმნილი ვითარება აფერხებს კლინიკის ფუნქციონირებას, რაც საფრთხეს უქმნის პაციენტების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საქონლის შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შემსყიდველმა ორგანიზაციამ უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სატენდერო პროცედურების ჩატარება, ხოლო ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და მიწოდების განხორციელებამდე, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო კრიტიკული მოცულობის შესყიდვა განახორციელოს შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რათა მან დამატებით შეისწავლოს ტენდერების უშედეგოდ დასრულების მიზეზები და განახორციელოს სათანადო ღონისძიებები შემდგომში ასეთი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით.

ასევე, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, დროულად და კვალიფიციურად დაგეგმოს სახელმწიფო შესყიდვები, მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებების შეძენის მიზნით, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP220001926 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი